№ 211 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. შაბათი, სექტემბრის 18 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მ. ნ. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტილეფ. 1—69

## ქართული სამუსიკო სკოლა

### ქართულ სამუსიკო საზოგადოების.

მისაღები გამოცდები ფორტეპიანოს კლასში დანიშნულია 18 და 20 სექტემბერს 11—2 ს.—5—7 საათამდე; სიმღერის კლ. 19 და 21, 11—2 საათ.; სიმებიან დასაკრავებზე 22, 11—2 ს., 5—7 საათამდე.

ფორტეპიანოს მასწავლებელნი: აბელიშვილი-ყარანგოზიშვილისა ე. დ. თავ. ხელ.; ანდრიანოვიჩ-მანსვეტაშვილისა მ. კ.; ავალიანი მ. მ.; ბერგ-პივოვაროვისა ო. მ.; გაბაშვილი მ. ზ.; გოლდმანი დ. დ. თავ. ხელ.; ზეილიგერ ა. ვ. თავ. ხელ.; კალაშნიკოვა ნ. ვ.; კარაკაშ ს. ს. თავ. ხელ.; ქიქოძე ე. გ. თავ. ხელ.; მირიმანოვა მ. ი. თავ. ხელ.; პოლტარაცკი-მ დატოვისა ე. ი.; ხოსროევა რ. ე. თავ. ხელ. სავალდებულო ფ-პ. კლ.: ავალიანი მ. კ.; კალაშნიკოვა ტ. მ.; ჩუბინაშვილისა ნ. გ.; სიმღერის კლ. ჯაყელი ა. გ. პროფ.; ზელიონაია ა. ა.; კირილოვისა გ. ი.; პოლიაევი ფ. ნ.; რიადნოვი ე. ჯ. პროფ.; შტრეიხერ-ნემიროვსკისა გ. ლ.; შულგინა ო. ა.; ვიოლინოს კლ.: ყარაშვილი ე. ნ.; მეტელნიკოვა ვ. ა. თავ. ხელ.; ფიშბერგი ი. ი. თავ. ხელ.; ვიოლონჩელის კლ.: აბაშიძე ი. ს. თავ. ხელ.; თეორიის კლ. პროფ. არაყიშვილი დ. ი. (რუსული განყ.) აბაშიძე ი. ს. (ქართული განყ) არფის კლ.: სიჩუკოვა ლ. პ.

**სწავლა იწყება 26 სექტემბერს.**

892 1—1

## საორგანიზაციო კომიტეტი გურიის სავაჭრო ბანკის ქ. ლანჩხუთში

### ძირითადი თანხით 3.000.000 მ.

ამით აცხადებს, რომ კვირას, ამა 26 სექტემბერს დილის 10 საათზე, ადგილ თეატრის შენობაში, დანიშნულია ზემოხსენებული ბანკის აქციონერთა დამფუძნებელ კრება, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები:

1) გურიის სავაჭრო ბანკის გახსნა. ქ. ლანჩხუთში და მიღება ლანჩხუთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა თუ პასივისა.
2) ახლად დაარსებული ბანკის წლიური ხარჯთ-აღრიცხვა.
3) ბანკის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის არჩევა.
4) სხვა და სხვა კითხვები.

**შენიშვნა:** თუ აქციონერი რაიმე მიზეზით ვერ ესწრება საზოგადო კრებას, შეუძლია მას თავისი უფლება სხვას გადასცეს, ისევ ხმის უფლებიან აქციონერს, მაგრამ ერთსა და იმავე პირს არ შეუძლია საზოგადოთ ორ ვექილობაზე მეტი ჰქონდეს. ვექილობა ხმის მისაცემათ უნდა დაიწეროს წერილის სახით, რაიც უნდა წარედგინოს საორგანიზაციო კომიტეტს და მათ რწმუნებულებს არა უგვიანეს სამი დღისა საზოგადო კრების დღემდე.

**გურიის სავაჭრო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი ქალაქ ლანჩხუთში.**

2752 2—1

ოფიციალური განყოფილება.

## სახელმწიფო ბიუჯეტი 1919—1920 წლისა.

**საერთო აღრიცხვა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლისა 1919—1920 წლის ბიუჯეტით.**

| №№ რიგ. | შემოსავალი. | ჯამი. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|
| 1 | პირდაპირი გადასახადი | 108929700 | |
| 2 | არაპირდაპირი გადასახადი | 170801000 | |
| 3 | ბაჟები | 40518500 | |
| 4 | მთავრობის რეგალიები | 43856700 | |
| 5 | სახაზინო ქონება და თანხები | 747369760 | |
| 6 | სახელმწიფო ხაზინის ანაზღაურებული ხარჯებ. | 1115116 | |
| 7 | სხვა და სხვა გვარი შემოსავალი | 3473709 | |
| 8 | საკრედიტო ოპერაციებისაგან | 47500000 | |
| | | 1163564485 | |
| 9 | მთავრობის სამეურნეო ოპერაციებისაგან | 796926313 | |
| | სულ | 1960490798 | |

| №№ რიგ. | გასავალი. | ჯამი. | კ. | შენიშვნა. |
|---|---|---|---|---|
| 1 | დამფუძნებელი კრება | 10495515 | — | 1) გასავლის მე 2-ე №-ში სახელწოდებით მთავრობის საქმეთა მმართველობა"—შედის 180000000 მან., გადაცემული საოპერაციოთ მთავრობის განკარგულებაში. 2) მე-8-ე №-ში ნაჩვენებ თანხაში იგულისხმება 250000000 მან. რომელიც მიღებული აქვს უწყებას სავალუტო საქონლის შესაძენად. |
| 2 | მთავრობის საქმეთა მართველობა | 18197329 | 10 | |
| 3 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 2078226 .92 | 6 | |
| 4 | სახალხო განათლების სამინისტრო | 137456 956 | — | |
| 5 | სამხედრო სამინისტრო (რეგულიარი ჯარი და სახალხო გვარდია) | 5387 .91632 | — | |
| 6 | გარეშე საქმეთა სამინისტრო | 2[illegible]4264296 | | |
| 7 | იუსტიციის სამინისტრო | 55092753 | 98 | |
| 8 | ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტ. | 293404042 | — | |
| 9 | მიწათ-მოქმედების სამინისტრო | 83646396 | 92 | |
| 10 | გზათა სამინისტრო | 417280812 | 80 | |
| 11 | შრომის სამინისტრო | 1140550 | — | |
| 12 | სახელმწიფო კონტროლი | 9121851 | 60 | |
| | სულ | 1960490798 | — | |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

## სახელმწიფოს შემოსავალი 1919—20 წლისათვის.

| №№ რიგ. | შემოსავლის სახელწოდება. | ნავარაუდევია მთელი წლისათვის. | §§ |
|---|---|---|---|
| 1 | პირდაპირი გადასახადი | 108929700 | 1—3. |
| 2 | არაპირდაპირი გადასახადი | 170801000 | 4—10. |
| 3 | ბაჟი | 40518500 | 11, 12, 13, 14\|15, 15\|16, |
| 4 | მთავრობის რეგალიები | 43856700 | 16\|17, 17\|19, 18\|20. |
| 5 | სახაზინო ქონება და თანხები | 747369760 | 19\|22—22\|25. |
| 6 | სესხისა და სხვა ხარჯის დაბრუნება | 1115116 | 23\|31, 24\|32. |
| 7 | სხვა და სხვა გვარი შემოსავალი | 3473709 | 25\|34. |
| 8 | საკრედიტო ოპერაციებისაგან | 47500000 | 26\|37. |
| | სულ | 1163564485 | |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**

არა ოფიციალური განყოფილება.

## შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

შინ. საქმ. სამინისტრომ შემდეგი ბრძანებით მიმართა ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთ: 1918 წელს ახალქალაქის მაზრაში ოსმალეთის ბრბოების შემოსევის დროს ბევრი მოქალაქე იძულებული გახდა მიეტოვებინა სახლ-კარი და გადახვეწილიყო სხვაგან. ამ ჟამად რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ ენერგიულ ზომების მეოხებით მაზრაში მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდა. ამიტომ გადახვეწილნი უბრუნდებიან მიტოვებულ კერას, მაგრამ მიტოვებული სახლ-კარი მათი მინგრეულ-მონგრეული ხვდებათ და ამის გამო უმძიმთ ოჯახის აღდგენა. მივაქცევთ რა მაზრის მცხოვრებთა ყურადღებას ამ მოვლენას მე საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მცხოვრებნი მიიღებენ მხედველობაში თავიანთ მოძმეთა მძიმე მდგომარეობას და მეზობლურად მოეშველებენ მათ, როგორც მუშა საქონელს ისე მუშა ხელსაც განადგურებულ სახლკარის აღსადგენათ.

გარდა ამისა ახალქალაქის მაზ. 1918 წ. ოსმალეთის ბრბოების თარეშის დროს ზოგიერთებმა ისარგებლეს არეულობით და თავიანთ შეუგნებლობით დაიტაცეს და მიითვისეს თავიანთ მეზობლების ოთხფეხი საქონელი და საოჯახო ნივთები. ვინაიდან ყოვლად დაუშვებელია ასეთი მოქმედება ამიტომ მე ვუბრძანებ მაზრის მცხოვრებთ დატაცებულ და მითვისებულ ოთხფეხი საქონელი და საოჯახო ნივთები ათი დღის განმავლობაში დღიდან ამ ბრძანების გამოცხადებისა თავის ნებით ჩააბარონ სამაზრო ერობის გამგეობას. ისინი ვინც ბრძანების თანახმად მოიქცევიან განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველგვარ სასჯელისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდა იმისა რომ მათ ჩამოერთმევათ მითვისებული ნივთები, სასტიკად დაისჯებიან რესპუბლიკის კანონების მიხედვით.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე.**

# მომარაგების მინისტრის ბრძანება.

მომარაგების მინისტრმა თავის უწყებაში 10 სექტემბერს შემდეგი ბრძანება გასცა: „ტფილისის კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარე ს. ი. ადანაია 15 ივლისს დაინიშნა რწმუნებულად ბორჩალოს მაზრაში პურის მოსამარაგებლად. ამასთანავე მას მიეცა წინადადება, დაენებებია თავი კოოპ. კავშ. თავმჯდომარეობისთვის და დაუყონებლივ შედგომოდა მუშაობას მაზრაში. რომელსაც ადანაია წინადადებაზე დათანხმდა, მომარაგების სიჩქარის გამო, იმავე დღეს მიიღო მომარაგების სამინისტროს კასიდან საკმაოდ დიდი თანხა და შემდეგ მის სახელზე გახსნილ იქმნა ნდობა მიმდინარე ანგარიშში შულავერის ხაზინაში. მიუხედავათ იმისა, რომ ადანაიას სრულიად არ სცოდნია არც თავისი მოვალეობა და არც ხასიათი და მნიშვნელობა იმ საქმისა, რომლისათვისაც ის აღიჭურვა სამინისტროს ნდობით, ის მიუხედავათ ამისა აცტყვილებდა სამინისტროს 1—2 თვე და მთელი ეს დრო ტფილისში გაატარა და მუშაობდა კოოპერატივში. ეს ცოტაა, მიიღო რა ფული მხოლოდ პურის მოსამარაგებლად, ადანაიამ თავისი პირადი მოსაზრებით როდესაც ამისი უფლება არ ჰქონდა, მიაბარა შესანახად (ფაქტიურად მისცა სესხად) ტფილისის კოოპერატივთა კავშირს ცხრა მილიონი მანეთი. კავშირმა ფული დაატრიალა და დახარჯა ტფილისის კოოპერატივთა კავშირის საჭიროებისათვის. მომენტში, როდესაც აუცილებელია ყველა ძალთა მოხმარება, რომ შემსუბუქდეს დღევანდელი პურის კრიზისი, ამისათვის მოწვეული ადანაია განაგრძობდა თავისი პირადი ან გარეშე საქმეებს და მით შეგნებულად ან შეუგნებლად უქადდა შიმშილს მუშებსა და მცხოვრებლებს. ასეთ პირებს სასტიკი განაჩენი უნდა გამოუტანოს არა მარტო სასამართლომ, არამედ მთელმა დემოკრატიამაც. ამის გამო მისი უკანონო უმოქმედობის გამო მძიმე კრიზისის დროს მისთვის მითვისებული უფლებების გადამეტებისათვის და აგრეთვე მისთვის ჩაბარებულ სახაზინო ფულების უკანონოდ გასესხების გამო, აუცილებლად დავინახეთ ს. ი. ადანაია დაგვეთხოვა სამსახურიდან და იმავე დროს ვაცნობეთ შინაგან საქმეთა მინისტრს ბ. ადანაიას საჩქაროთ დატუსაღებისათვის ადმინისტრატიული წესით რომ აღეძრა მის, ადანაიას, წინაამდეგ სისხლის სამართლის საქმე.

# ევროპის სოც. დელეგაც. ტფილისში.

## ვანდერველდეს სიტყვა

იმ გაჭირვებათა შორის, რომელსაც განიცდის საქართველო უნდა აღინიშნოს უპირველესად ყოვლისა მისი ფინანსიურ-ეკონომიურ ხასიათის გაჭირვება, რომელიც ცარიზმის მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამ დაბრკოლების დასაძლევათ საჭიროა სახელმწიფოს სასწრაფო ძალების განვითარება და კერძოთ საქართველოს მადნების დამუშავების გაძლიერება უცხოეთის ტექნიკთა და კაპიტალის დახმარებით. საქართველომ უნდა მოიპოვოს შეთანხმების დიდ სახელმწიფოებისაგან ერთა ლიგაში შესვლის უფლება. ჩვენი დელეგაცია, ევროპაში დაბრუნებისთანავე უპირველეს ყოვლისა ამ საკითხს მიაქცევს ყურადღებას. საქართველოს სხვა დაბრკოლებაც აქვს. საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა ამასთანავე აქ კაპიტალიზმი სათანადოდ არაა განვითარებული. ამან შეიძლება გამოიწვიოს უცხოეთის კაპიტალის გავლენა ადგილობრივ ამშენებლობაზე. მე ამის შესახებ ველაპარაკე ნოე ჟორდანიას რომელმაც მიპასუხა: მართალია ჩვენ ვიხმობთ უცხოელ კაპიტალისტებს, მაგრამ მთავრობა ზრუნავს შეიძინოს აქციათა მეტი ნაწილი რათა საქმეც მისი გავლენის ქვეშ იყვესო. ეს აზრია სწორია. ასეთი გზით კაპიტალი შეიძლება მოიზიდო და არა მასში გაითქვიფო. ახლა მე შევეხები საფრთხეს, რომელიც საქართველოს საზღვრებს ემუქრება. საქართველოს საზღვრავს ორი დიდი დანგრეული სახელმწიფო—ბოლშევიკური რუსეთი დ ნაციონალისტური ოსმალეთი. საქართველო აზიის შვეიცარიაა და როგორც შვეიცარიაში ისე საქართველოში დევნილნი პოვებენ თავშესაფარს. ქართველ ხალხს მოკავშირეებიც ყავს. ხალხში იმდენათ გამჯდარია თავისუფლებისადმი სიყვარული, რომ ის ყოველგვარ ტირანიას, ლენინის იქნება ის თუ ნიკოლოზ მეორის, მედგრად შეებრძოლება. მსოფლიო სიყვარულისათვის პრომეთემ ზეცას ცეცხლი გამოსტაცა. განრისხებულმა ის კავკასიის ქედზე მიაჯაჭვა, და ყვავ ყორანი კორტნიდა მას. ამ გვარადვე ცარიზმა საქართველოს მთაზე მიაჯაჭვა საქართველო. მაგრამ ქართველმა პრომეთემ გაინთავისუფლა თავი და მას აღმოუბრწყინდა წითელი რიჟრაჟი სოციალური რევოლიუციისა, რომელსაც საქართველო ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ მიყავს.

## მუშათა წარმ. სიტყვა

ვანდერველდეს სიტყვის შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელს ქიაბრიშვილს მისცა. უკანასკნელმა ვრცლად გააცნო დელეგაციის წევრებს ისტორია მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმოშობისა, რომელმაც რევოლიუციის დღიდან დღევანდლამდე შეინარჩუნა პოლიტიკური ძალა-უფლება. შემდეგ გამოდის სახალხო გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი, რომელიც აღნიშნავს შეიარაღებულ დემოკრატიის როლს, და მის დამსახურებას ხალხის ფიზიკურად გადარჩენაში. ორატორი თავის სიტყვას მხურვალე მოწოდებით ასრულებს: ჩვენ უნდა გავხდეთ არა მარტო აზიის შვეიცარია, როგორც ეს ვანდერველდემ სთქვა, არამედ სოციალისტურ შვეიცარიაც. გრიგოლ დგებუაძემ მუშათა დეპუტატების საბჭოს სახელით მოახსენა კრებას საქართველოს ბრძოლის შესახებ მოხალისეთა ჯარის და ბოლშევიკების წინაამდეგ. საქართველოს დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის სახელით. გამოვიდა კარაჯევი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასია იმპერიალისტებისათვის გემრიელ ლუკმას წარმოადგენს შემდეგ ორატორი მიესალმა ინტერნაციონალის დელეგაციას, რომელსაც თავისი ძლიერი მორალური სიძლიერით შეუძლია გავლენა მოახდინოს მტაცებლების შემოსევაზე. „დაშნაკციუტიუნის“ ფრაქციის სახელით დელეგაციას ნაჩალქიანი მიესალმა, გუნდის სახელით ანონი. სოც.-რევ სახელით გამოვიდა თარხანოვი და უკანასკნელმა ორატორმა, სოც. ფედ. წარმომათგენელმა შ. ნუცუბიძემ კატეგორიულად განაცხადა; მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენსა და სოციალ-დემოკრატების შორის არსებობს სხვა და სხვაობა თეორეტიულ საკითხებში, ჩვენ სოციალ-ფედერალისტებს არ წარმოგვიდგენია შესაძლებლობა გადატრიალებისა საქართველოში, სადაც ხალხი სრულ თავისუფლებით სარგებლობს. სიტყვების დასრულების შემდეგ თევზაია კითხულობს რეზოლიუციის პროექტს, რომელსაც სხდომა ერთხმად იღებს. სხდომის წევრები სდგებიან და შეუწყვეტელი ტაშის ცემით აცილებენ მიმავალ სტუმრებს. სახალხო სახლის დარბაზს ინტერნაციონალის საზეიმო ხმები ფარავს.

### წარმოდგენა დელეგაციის პატივსაცემლად.

სექტ. 16. სახელმწიფო თეატრში დელეგაციის საპატივცემლოდ გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა. ბილეთები ცენტრალურ კომიტეტმა უმთავრესად მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიყიდა. წარმოდგენის დაწყებისას სახელოვნო ცენტრის თავმჯდომარემ კ. მაყაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა. ის მიესალმა ევროპის დელეგაციას საქართველოს მხატვართა, მწერალთა, პოეტთა და არტისტთა სახელით. ორატორმა დაასკვნა, რომ დელეგაციის ჩამოსვლას ქართველი ხალხი უკვდავათ ჰყოფს მუსიკასა და ლიტერატურაშიო. შემდეგ ვრცელი სიტყვა სთქვა გრიგოლ რობაქიძემ. აღნიშნა სიღრმიერი ნათესაობა საქართველოსი ევროპასთან. საქართველო ყოველთვის დასავლეთისაკენ ისწრაფოდა ვინაიდან ქართველი ხალხი მცირე აზიის მოწინავე ერს წარმოადგენდაო. ქართველი ხალხი ყოველთვის ილტვოდა ინტერნაციონალურ გაერთიანებისაკენ და მისი საუკეთესო შვილები მონაწილეობდენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისალმებათა შემდეგ სცენაზე გაიმართა ხალხთა ცეკვა, რომელიც დასრულდა საერთაშორისო გაერთიანებისა და ძმობის აპოთეოზით. ბოლოს დადგეს „აბესალომ და ეთერიდან“ მეორე მოქმედება. ორკესტრს თვით კომპოზიტორი დირიჟორობდა. სადღესასწაულო წარმოდგენის დასასრულ ორკესტრმა სამჯერ დაუკრა ინტერნაციონალი.

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

### ტრედ-უნიონისტთა კონგრესი.

ტრედ-უნიონისტთა კონგრესმა პრინციპიალურად მიიღო გადაწყვეტილება მუშათა გენერალური შტაბის დაარსების შესახებ. კამათის დროს ამ საკითხში არსებული დიდი აზრთა სხვა და სხვაობა გამოირკვა.

### რურის ქარხნის მეპატრონეები.

ქარხნის მეპატრონეები გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე უარს აცხადებენ მანამ, სანამ გაფიცულთა ხელში იქნება სამრეწველოებიო.

### აჯანყებული ბოლშევიკები.

აჯანყებული სპარსელები და ბოლშევიკები კაზვინის მახლობლად დამარცხდენ.

თეირანი, სექტემბრის 1. სპარსეთის მთავრობამ გადასწყვიტა ებრძოლოს ბოლშევიკებს თავისი ძალებით. ინგლისელები კაზვინში პასიურობას იჩენენ. სპარსეთის მთავრობამ ენზელში გაგზავნა სპარსელ კაზაკთა დივიზია 3000 კაცისაგან შემდგარი და 1000 ჟანდარმი. ბოლშევიკებს რომ ეხმარება ისეთი სპარსელთა რიცხვი რამოდენიმე ას კაცს არ აღემატება. ხარასანში მთავრობის ჯარებმა აჯანყებულები გაანადგურა.

### კოკსის განცხადება.

პრეზიდენტის თანამდებობაზე დემოკრატთა კანდიდატმა კოკსმა წინასწარ საარჩევნო კრებაზე გამოაცხადა, რომ პრინციპიალურად ერთა ლიგის მომხრე ვარ და მხარს დავუჭერ, რომ ამ ლიგაში ამერიკამაც მიიღოს მონაწილეობაო.

### ლონდონის მუშათა ორგანიზაციები.

მუშათა ორგანიზაციების კრებაზე ლონდონში გადასწყვიტეს, რომ მთელი თავისი ძალღონით წინააღმდეგობა გაუწიონ მოკავშირეებს რუსეთთან ახალ ომის დაწყებაში.

### სპარსეთის შახი.

აქ მიღებულ ცნობით სპარსეთის შახი უარს აცხადებს ტახტზე. სპარსეთი გამოცხადდება რესპუბლიკათ. სტამბოლში მყოფი სპარსეთის მისია აცხადებს, რომ ამ ამბის დასადასტურებელი ცნობა მას არ მიუღია.

### რკ. გზის განახლება ბერლინ და პარიზს შუა.

ბერლინსა და პარიზს შუა რკინის გზის პირდაპირი მიმოსვლა განახლდა. მატარებელი გზაში 27 საათს უნდება.

### პოლონეთის მუშათა მოწოდება.

გაზეთ „რაბოტნიკში“ გამოქვეყნებულია პოლონეთის მუშათა მოწოდება დასავლეთის პროლეტარიატისადმი, რომელმაც ომის საშინელების დროსაც შეინარჩუნა გულწრფელობა და პატიოსნება. მოწოდებაში სხვათა შორის აღნიშნულია: ბოლშევიკები წარმოადგენენ წითელ იმპერიალისტებს, რომლებიც სცდილობენ დაამარცხონ ეგრედ წოდებული განაპირა სახელმწიფოები, მათ შორის პოლონეთიც, და გახადონ ისინი თავის გუბერნიებად. მოსკოვი ავიწროებს თავისუფალ ქვეყნებს—კავკასიას, უკრაინას, ლატვიას და ცდილობს გახადოს ისინი მოსკოვის კოლონიებად. მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ.

### მუშათა კონგრესი.

პრესა აღნიშნავს რომ საფრანგეთის მუშათა კონგრესმა ბოლშევიკების წინააღმდეგ გაილაშქრა და მესამე ინტერნაციონალში შესვლაზე უარი სთქვაო. ეს თვალსაზრისი საერთო კონფერენციის ნაციონალურმა საბჭომაც გაიზიარა. კონფედერაციის მდივანმა განაცხადა: ლენინიზმი შეკავშირებულ მუშებისათვის მიუღებელიაო. მეტალისტთა ფედერაციის მდივანს მერეინს, რომელიც იმის დროს ლენინსა და ტროცკის იცავდა ეხლა ბოლშევიზმი რეტროგრადიულ ხასიათის მილიტარისტულ დიქტატურათ მიაჩნია, და ის ისევე საშიშია ამბობს იგი, როგორც კაპიტალისტური მილიტარიზმიო.

### ირლანდიის პოლიცია.

ირლანდიის პოლიცია ოფიციალურად იტყობინება, რომ მაისსა და ივნისში ირლანდიაში დაანგრიეს 23 სასამართლოს შენობა. 10 შენობა სერიოზულადაა დაზიანებული. დაანგრიეს აგრეთვე პოლიციის ყაზარმა, და მთავრობისა და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებები.

### გენერ. გოფმანის მიმართვა.

ლესოპიულერი იუწყება, თანახმად სარწმუნო წყაროებისა გენერალმა გოფმანმა მიმართა ლოიდ-ჯორჯს თხოვნით შესწყვიტოს კრასინთან და კამენევთან ყოველგვარი მოლაპარაკება და მოაწყოს მოსკოვის წინააღმდეგ ევროპის სამღვთო ომი. გაზეთები გადმოგვცემენ რომ ეს განცხადება მხოლოდ სიცილს გამოიწვევს.

### საფრანგეთის პრესა.

საფრანგეთის სოციალისტური პრესა პარიზში კამენის და ფროსარის დაბრუნების გამო მოითხოვს პარტიის კონგრესის მოწვევას კამენისა და ფროსერის რუსეთში მოქმედების განსახილველად.

(გაზეთებიდან)

### იაპონელი ქალი-ჟურნალისტი.

ამ ცოტა ხანში ლონდონში კონგრესზე ჩავიდა იაპონელი ქალი კაი ვაიმა, ჟურნალისტი, რომელიც ღრმა მოხუცებაშია, 88 წლისაა და მთელი თვისი სიცოცხლე მოანდომა იმას, რომ როგორმე შეემსუბუქებინა ის ცხოვრების გარემოება, რომელშიაც იაპონელი ქალი იმყოფება.

### ქალთა არჩევნების უფლებანი.

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: ტენესის შტატმა 25 ხმის უმრავლესობით 4 წინააღმდეგ დაადგინა არჩევნებში, ხმის მიცემაში ქალებს სრული უფლება მიანიჭოს.

### საფრანგეთის ჩარევა იტალიის საქმეებში.

დეპუტატმა ვიანჩინმა პალატაში წინადადება შეიტანა, რომლის ძალით იტალიამ არ უნდა მისცეს უფლება საფრანგეთს, რომ იგი იტალიის სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩაერიოს. ამის მიზეზი არის ის, რომ ამ ცოტა ხნის განმავლობაში კლემანსოს მიუმართია იტალიის მთავრობისთვის, რომ საფრანგეთი დაგეხმარებათ ანტიბოლშევიკურ მოძრაობაშიო.

### მოკავშირენი და საბჭოთა მთავრობა.

ექს-ლებელის კონფერენციის დასასრულს მოკავშირეებმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: საერთო მშვიდობიანობა ვერ დამყარდება მანამდის, ვიდრე არ გადასწყდება ევროპის პოლიტიკური პრობლემა. პირველ რიგში სდგას რუსეთის საკითხი, რომელთანაც უნდა დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა. მერე ერთი უმთავრეს საკითხთაგანია ადრიატიის საკითხი. საფრანგეთ-იტალია დაიჭერენ იმისთანა კურსს რუსეთის მიმართ, რომ რუსეთს საშუალება მიეცეს მალე განაახლოს თავის ეკონომიური ცხოვრება და მოაწესრიგოს გარეშე და შინაური საქმეები.

### მდგომარეობა ზანგეზურში.

სექტემბრის დასაწყისში ზანგეზურში ბოლშევიკები შეუერთდნენ თათრებს და დაეცნენ კაპანის სომხებს. ბოლშევიკებმა დააპატიმრეს თათევოსის მონასტრის არქიმანდრიტი ოვანესი, ააოხრეს მონასტერი, გაიტაცეს მთელი ქონება, გლეხებს წაართვეს საომარო იარაღები და ბევრი საჭირო ინვენტარი. ბოლშევიკები ამ ცოტა ხნის განმავლობაში კვლავ დაეცნენ სოფლებს და ბევრი ხალხი დახოცეს.

# საბერძნეთის მისიის ცნობები.

### ასკვიტის განცხადება.

ინგლისის ყოფილმა პრემიერმა ასკვიტმა განაცხადა: კიპრი უეჭველად საბერძნეთს უნდა შეუერთდეს. ვინაიდან ასეთია სურვილი კუნძულის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისაო. მე იმედი მაქვს, რომ ინგლისი დადებით გადასწყვეტს კიპრის საკითხსო.

### თალათ-ფაშას განცხადება.

თალათ-ფაშას ამერიკელ ჟურნალისტთან საუბრის დროს განუცხადებია: ბრძოლა აღმოსავლეთში გაგრძელდება, რადგანაც პანისლამიზმი ასე იოლად არ მოკვდებაო.

### ელინის ჯარი.

ელინის ჯარი ეპირისკენ მიიწევს არგიროკასტრას დასაკავებლად.

### საბერძ. პარლამენტის არჩევნები.

საბერძნეთის პარლამენტის არჩევნები ოქტომბრის მეორე ნახევარში მოხდება.

### ქემალისტების დანაკლისი.

მთავარი შტაბი ქემალისტების დიდ დანაკლისზე იუწყება. საბერძნეთის ჯარს ხელთ უგდია 12 ზარბაზანი, 4 ლოკომოტივი, 100 ვაგონი, 90 ცხენი და დიდძალი სამხედრო მასალა.—„ტრიბუნალში“ დაბეჭდილია ანატოლიის ამბები. მუსტაფა ქემალი თავის ჯარში ჩასაწერად მცხოვრებლებს სხვა და სხვა შეღავათებს პირდება. ის თავის მომხრეებს ეუბნება: თქვენ გეკუთვნით უცხოელ-

...თა ქონება და სიცოცხლე. დახოცეთ სომხები, ბერძნები, ფრანგები, ინგლისელები. ამოსწყვიტეთ, დასწვით, გაანადგურეთ. ღმერთი ძლიერია, ის ჩვენ მოგვიტოვებს.

# სომხეთში

„არაჩის" ცნობით ერევნის ბაზარზე პური არ იშოვება. ვაჭრები არჩევენ შეინახონ თავის პური და შემდეგ ერთბაშად გამდიდრდნენ. ხორბლის ფასების დიდი აწევაა მოსალოდნელი. მცხოვრებლებში ჩუმ უკმაყოფილებაა. მზრუნველობის სამინისტრომ და ქალაქის თვითმართველობებმა მოსამსახურეებზე პურის დარიგება შეწყვიტეს. ეს მცხოვრებლებს ოფიციალურად აუწყა.

ამასთანავე პურის ფასი 12 მან. 45 მანეთამდე აიყვანეს. უპურობა დიდი საფთხეა სომხეთისათვის. ამ გარემოებით სარგებლობენ ბნელი ძალები და ხალხს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებენ. მთავრობამ ამ კრიზისის ლიკვიდაციით სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს. უნდა დააწესოს მაგარი ფასები პურსა და ხორბალზე. უნდა მიღებულ იქნას ამასთანავე მკაცრი ზომები პირველ მოთხოვნილების სურსათის სპეკულიაციის წინააღმდეგ. ყველაფერი შეიძლება დაშვებულ იქნას ამ შემთხვევაში დახვრეტაც კი. სპეკულიანტებმა უნდა იგრძნონ რომ მთავრობა და საზოგადოება მასზე ძლიერია. სომხეთს შიმშილს ზამთარი უდგება უნდა წარმოაყენონ ორი ლოზუნგი „პური მცხოვრებლებს, ბრძოლა სპეკულიანტებს."

# საბჭოთა რუსეთში.

**მოსკოვი**, სექტემბრის 4. საბჭოთა რუსეთის იურისტების მე-3 ყრილობაზე დაადგინეს: გაუქმდეს კომისია და მის გამომძიებელს დაეკისროს დამცველთა კოლეგიის მაგივრად დაარსოს ნაფიც ვექილთა სასამართლო.

უმაღლეს სარევოლიუციო ტრიბუნალში მიუდგნენ ტაქტიკურ ცენტრის საქმის გარჩევას. ამ ცენტრში გაერთიანებული იყო საზოგადო მოღვაწეთა საბჭო და რუსეთის აღმდგენელთა კავშირი. საბრალდებულო ოქმში სწერია, რომ ცენტრს კავშირი ქონდა უცხოეთის კონტრრევოლიუციონერებთან, რომლებიც ახლაც ებრძვიან რუსეთსო. ცენტრის მიზანი იყო კერძო საკუთრების პრინციპის აღდგენა და რუსეთის შინაურ საქმეებში ანტანტის ჩამორევა. ბრალდებულთა სკამებზე სხედან: ვინოგრადოვსკი, კოტლიარევსკი, მურავიოვი და შჩეპკინი. შჩეპკინის ოქმით ცენტრი ამზადებდა განსაკუთრებულ მოხსენებას რუსეთში ჩამოსასვლელ მეორე ინტერნაციონალის დელეგაციისათვის გადასაცემად. ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ცენტრში დაისვა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყების საკითხი, მაგრამ ყველა ერთხმად წინააღმდეგი წავიდაო. საქმე ჯერ არ დასრულებულა. „პრავდას" ცნობით კომუნისტთა მოსკოვის კომიტეტს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია ვრანგელის ფრონტს უდიდესი ყურადღება მიექცეს. კომიტეტი აღნიშნავს, რომ საფრანგეთს გამოყავს ვრანგელი როგორც უმთავრესი დამკვრელი ძალა. ვრანგელს უნდა დონისა და ყუბანის ოლქებში შემოჭრა და სამხრეთის ფრონტის შექმნა. ვრანგელმა თუ მიზანს მიაღწია საბჭოთა რუსეთს დაუკარგავსო, — სწერს პრავდა" — დონის ქვანახშირს, ყუბანის პურს, ბაქოსა და გროზნის ნავთს, რაც რუსეთის სახალხო მხნეობას დიდ უბედურებას შეუმზადებს.

### პრესის მიმოხილვა.

აღმოსავლეთ ხალხთა წარმომადგენლების ყრილობაზე მოსულმა დელეგატებმა წინასწარ დიდი გაჭირვება გამოიარეს. მაგალითად, ოსმალეთის რესპუბლიკაში, რომ მოეხდინათ არჩევნები დელეგატებისა ყრილობაზე დასასწრებლად, ცუდ ამინდში გაგზავნეს აგიტატორები ტრაპეზუნდში. კონსტანტინოპოლიდან გამოსული ინგლისელების საყარაულო გემი ტრაპეზუნდის ახლო დადიოდა აგიტატორების დასაჭერათ, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს. ინგლისელებმა იმ მიზნით, რომ სპარსეთიდან წამომული დელეგატები არ გაეშვათ ყრილობაზე, ენზელზე თავდასხმა მოაწყვეს. აეროპლანიდან გადმოისროლეს რამოდენიმე ყუმბარა. არაფერი ითქმის იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღეს ინგლისელებმა ინდოეთის საზღვრებზე და ნავსადგურში. ყველა ეს ფაქტები გვიჩვენებს იმას რომ ინგლისს აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა მართლა საშიშელებათ მიაჩნია. მაგრამ ინგლისმა მაინც ვერ შესძლო ყრილობის დაშლა. შესძლო მხოლოდ ის, რომ რამოდენიმე ათასმა დელეგატმა ვერ შესძლო მისი ბლოკადის გარღვევა.

დგება ცივი ზამთარი, ფრანგი იმპერიალისტები სისხლს გვწოვენ, მოსვენებას არ გვაძლევენ, ხელს გვიშლიან სააშენებლო მუშაობაში და იძულებულს გხდიან, ყველაფერი კარგი ფრონტს მივახმაროთ. ცხოვრება თითქმის სრულიად მოიშალა, ნამეტურ საგრძნობია ეს ზამთრობით. უნდა ვიზრუნოთ რომ მუშაობა გავჩაღოთ ფაბრიკებსა, სახელოსნოებსა და ქარხნებში. ახლანდელ პირობებში დალხინებული ცხოვრება შეუძლებელია, ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ გაიწმინდოს სამუშაო ადგილები ტალახისა და ნაგავისაგან და შეკეთდეს ასეთ შენობათა კარ ფანჯრები. ახლა უნდა მოვიკრიბოდ ძალა. ჩვენ სხვა არავინ დაგვეხმარება, ყველაფერი ჩვენს ძალასა და ენერგიაზეა დამოკიდებული ყოველივე ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს. შრომის დაცვის კვირაში მთელი ჩვენი ძალღონე უნდა შემოვიკრიბოთ, ვინაიდან ესაა ჩვენი ჯანმრთელობის დაცვის კვირა.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგ.)

### ლიონის ცნობა.

### მილერანი ჟენევაში.

ჟენევაში მილერანს სამშაბათს დილით მოელიან. იმავ დღეს ის ლოზანში წავა, სადაც ინახულებს გელვეტის კონფერენციის პრეზიდენტს მოტტას.

### კონფერენცია ბუდაპეშტში.

სექტ. 15 ბუდაპეშტში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია პარიზ—კონსტანტინოპოლის შორის სწრაფი მატარებლის მიმოსვლის განახლების საკითხის შესახებ. დაესწრება ყველა წარმომადგენელი იმ სახელმწიფოთა, რომელთა ტერიტორიასაც სჭრის ეს მატარებელი.

### კონგრესი სტრასბურგში.

სექტ. 20—30-მდე სტრასბურგში მათემატიკოსთა კონგრესი შესდგება.

### მილერანი და ჯიოლიტის საუბარი.

მილერანმა და ჯიოლიტმა ისაუბრეს და კმაყოფილება გამოსთქვეს იმის გამო, რომ საფრანგეთსა და იტალიის შორის სრული თანხმობა არსებობს. პრემიერებმა გადასწყვიტეს ერთად, შეისწავლონ ის საკითხები და პრობლემები, რომელიც საზავო ხელშეკრულებამ ვერ გადასწყვიტა სათანადოთ. უმთავრესი მიზანია საერთო მშვიდობიანობა, და ხალხთა დამოუკიდებლობის იდეის პატივისცემა. მშვიდობიანობის დამყარების პირველი პირობა ჯიოლიტის და მილერანის აზრით არის თანხმობა ინგლისსა, საფრანგეთსა და იტალიას შორის: არსებული ხელშეკრულებანი მომავალ საერთაშორისო დამოკიდებულება ქვაკუთხედათ უნდა დაედვას. ვერსალის ხელშეკრულების განხორციელება საფრანგეთისათვის აუცილებელია. პოლონეთის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყვეს. ამის მისაღწევად უპირველესად ყოვლისა უნდა შესწყდეს ისეთი ომები, როგორიც არის რუსეთ-პოლონეთის ომი და სამხედრო მოქმედება, რომელიც ოსმალეთის ნაციონალისტებსა და კონსტანტინოპოლის მთავრობას შორის ხდება. პრემიერები დარწმუნებულნი არიან, რომ პოლონეთი გამარჯვების შემდეგ ისეთ პირობებს წარუდგენს რუსეთს, რომელიც უკანასკნელისათვის მისაღები იქნება და რომელიც ხალხთა დამოუკიდებლობის პრინციპს არ შელახავს. პოლონეთი ამ გზით გაამართლებს მოკავშირეთა მოლოდინს.

საერთო მშვიდობიანობა არ განხორციელდება, თუ არ იქნა მოწესრიგებული ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი პრობლემები. პირველად რიგში სდგას საკითხი რუსეთთან ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენისა და ადრიატიკის ზღვის საკითხის მოწესრიგება. საფრანგეთის და იტალიის მთავრობები აღიარებენ მოქმედების თავისუფლებას საბჭოთა მთავრობის მიმართ, მაგრამ ორივეს სურს შეიქმნეს რუსეთში ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეძლებას მისცემს ამ ქვეყანას დაამყაროს დანარჩენ ქვეყნებთან ნორმალური, ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება რაც ეგრე საჭიროა როგორც რუსეთისთვის ისე დანარჩენ ქვეყნებისათვის.

### საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

რიგიდან იტყობინებიან, რომ საზავო მოლაპარაკებას პოლონეთთან თვით ჩიჩერინი უხელმძღვანელებსო.

### მოსკოვის ცნობები.

გროდნოს სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. ბელოვეჟსკის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. კობრინსკის რაიონში ჩვენ მტრის საავტომობილო რაზმი დავამარცხეთ, მას კოველის სამხრეთ-აღმოსავლეთით უნდა გასვლა. როგოტინის ჩრდილოეთ დასავლეთით ბრძოლაა. გალიჩის რაიონში ჩვენი ჯარი დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადმოსულ მტერს შეებრძოლა. ყირიმის მხარეში, ორეხოვის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი მოიგერია.

### გერმანული პრესა.

### რუსეთის ტრედ უნიონები.

რუსეთის ტრედ-უნიონთა წარმომადგენლებმა, რომელნიც რუსეთის 5 მილიონიან პროლეტარიატის ნება-სურვილს გამოხატავენ დაათვალიერეს ნორვეგია, იყვენ გერმანიაში და უნდათ დაათვალიერონ იტალია, ინგლისი და სხვა.

### საქსონიის სოციალისტები.

საქსონიის დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიამ გადასწყვიტა კენჭის ყრით გამოარკვიოს პარტიის მოსკოვის მთავრობასთან დამოკიდებულება. ოლდენბერგის და აღმოსავლეთ ფრისლანდიის დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიამ უარყო მოსკოვის პირობები.

### სილეზიაში.

„ფორვერტსი" აღნიშნავს, რომ ზემო სილეზიაში ჯერ-კიდევ არაა მშვიდობიანობა და წესიერებაო.

### ლიონის ცნობები.

### ჯიოლიტის სამადლობელი დეპეშა მილერანისადმი.

იტალიაში წასვლის წინ ჯიოლიტმა მილიერანს სამადლობელი დეპეშა გაუგზავნა საფრანგეთის წარმომადგენელმა საპასუხო დეპეშაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ შეხვედრამ გააძლიერა მჭიდრო კავშირი ლათინთა ორ ხალხს შორისო.

### მოკავშირეთა ტრიბუნალი.

მოკავშირეთა ტრიბუნალმა კაშოვიცაში გაარჩია 9 გერმანელის საქმე, რომელთაც ბრალდებოდა საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ სროლა ამ რამოდენიმე ხნის წინად მომხდარ არეულობის დროს. თვითეულ მათგანს ხუთი წლის ციხე მიუსაჯეს.

### ჩინეთის ევოლიუცია.

პენლევემ პრესის წარმომადგენელთა თათბირის დროს აღნიშნა, ჩინეთის ევოლიუციის დიდი მნიშვნელობა, მისი აზრით ჩინეთი მეოცე საუკუნეში დიდ როლს ითამაშებს. ჩინელებს იგეთივე ნიჭი აქვთ მეცნიერების შესწავლაში, როგორც ევროპიელებს. იმათ არა აქვთ მეცნიერების ცენტრი და დიდი სახელმწიფოები უნდა დაეხმარონ ჩინეთს პირველ ახალ ჩინელ მეცნიერთა შექმნაში. მაშინ ჩინეთი ძველ საპატიო ადგილს დაიჭერს განათლებულ ქვეყნებს შორისო.

### ბუდიკის აზრი საფრანგეთზე.

წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „საფრანგეთის რეაბლიტაცია" აწერილია ომიანობისაგან შექმნილი მდგომარეობა საფრანგეთისა. საფრანგეთის ომით დანგრეული ოლქები მშვიდობიანობის დროს იძლევა 14% ხორბალს, 77% შაქარს, 55% კანაფს, 70% ქვანახშირს, 80% შალეულობას და სხვა. ეს ოლქები ექსპორტის საქონლის 20 პროც. ამზადებდენ.

### ბოლშევიკების დელეგაცია.

ბოლშევიკების საზავო დელეგაცია რიგას მივიდა. აქვე უნდა მივიდეს პოლონეთის დელეგაციაც.

### სამხედრო ტყვეების გაცვლა.

საფრანგეთის პრემიერ მინისტრმა ჩიჩერინს გამოუგზავნა განცხადება, რომელშიაც იგი გამოსთქვამს თანხმობას სამხედრო ტყვეების გაცვლა გამოცვლის შესახებ. საფრანგეთის სამხედრო მართველობა უზრუნველყოფს რუსების საფრანგეთიდან წასვლას სექტ. 15, ამიტომ ყველა ფრანგი სექტემბრის დამლევამდე გაგზავნილ უნდა იქნას ან ოდესის და ან ფინეთის საზღვრებზე. ჩიჩერინმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობა იუწყებოდა ვითომ რუსეთში ყოფილიყოს გაგზავნილი 47000 რუსი ტყვე, ნამდვილად კი 1920 წლამდე დაბრუნებულთა რიცხვი არ აღემატება 15,000, ამ რიცხვში შედის დენიკინზე გადაცემული ჯარის კაცებიც. ასეთი შეცდომის გამო, საბჭოთა მთავრობა შიშობს, რომ რამდენიმე ათი ათასი რუსი თავის უნებურად დარჩება საფრანგეთში ან და ალჟირში და ისინი ვერავიტარ შემთხვევაში ვერ შესძლებენ სექტემბრის დამლევამდე სამშობლოში დაბრუნებას. წინასწარი პირობა, რომელსაც გულისხმობს საფრანგეთის მთავრობა ამ საკითხის შესახებ, ამგვარად არ არსებობს.

### ქვანახშირის მადანი.

ტაგანროგის მაზრაში აღმოაჩინეს ქვანახშირის ახალი მადანი სიღრმით 5 საჟენი. მის დასამუშავებლად შესდგა სამთო შრომის არტელი.

### ახალი ოსმალეთის პარტია.

ცნობილ ოსმალეთის მწერალმა ქალმა ხალიდე ედიბმა ანგორაში დაარსა ახალი ოსმალეთის პარტია სრული მოწინააღმდეგე მუსტაფა ქემალისა.

### სომხების მდგომარეობა ქემალიდში.

მუსტაფა ქემალს განცხადებით მიუმართია ანატოლიის მაჰმადიანებისათვის მოწოდებით, სადაც მცხოვრებთ მოუწოდებს სომხების წინააღმდეგ გამოსვლას: მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი: „საჭიროა სომხების ამოწყვეტა. მათ გაანადგურეს ჩვენი ქვეყანა და მტვრად აქციეს. ვინც ამ სამღვთო მოვალეობას არ შეასრულებს იგი ღირსია ღმერთის განრისხებისა რომელიც დაიმსახურებს წყევას და კრულვას". ამის გამო გემალდის კუთხეში სომხების მდგომარეობა მეტად აუტანელი შეიქმნა. სომხების ხოცვა-ჟლეტა გამრავლა. განსაკუთრებით ეს ითქმის დიარბექირის რაიონში, სადაც ქემალის ბრძანებით სომხეთის მოსახლეობა სულ მთლად ამოხოცეს.

### სომხეთი და საბერძნეთი.

საბერძნეთის გაზეთების გადმოცემით სომხეთის განთავისუფლება ქემალისტების ძალმომრეობისაგან უკისრია საბერძნეთს. საბერძნეთი ამ მიზნისთვის სომხეთში გზავნის ჯარს და თავის ოფიცრებს.

# გრაფი სფორცა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ სფორცასთან საუბრის დროს შეეხო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივნის კოლბის უკვე ცნობილ ნოტას რუსეთის საკითხის შესახებ, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამერიკის მთავრობა არ აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობასო. გრ. სფორცამ ამის შესახებ შემდეგი განაცხადა: იტალიის მთავრობამ ამ მოკლე ხნის წინეთ თავის საპასუხო ნოტაში ამერიკის მთავრობას მიუნიშნა, რომ მას (ამერიკის მთავრობას) არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს საქართველოს დამოუკიდებლით არსებობას, რომ მან (სფორცამ) პირადათ იცის, რომ ქართველი ერი არ ეკუთვნის სლავიანურ რასას და აქვს თავისი საკუთარი ათასი წლის კულტურა, რომელიც თავდებია იმის, რომ მას შეუძლია თვითონ განაგოს თავს და გადასწყვიტოს თავისი ბედ-იღბალი.

# ახალი ამბები

✦ **სენატში.** ზაფხულის დასვენების შემდეგ სენატის საკასაციო დეპარტამენტის სხდომები განახლდება. სისხლის სამართლის დეპარტამენტში უკვე რამოდენიმე სხდომა შესდგა. ამ დღეებში განახლდება სამოქალაქო დეპარტამენტის სხდომები.

✦ **სამხედრო ნაწილების რევიზია.** დამფუძნებელ კრების მცირე სამხედრო კომისიამ ს. ჯიბლაძის თავმჯდომარეობით და ნ. იმნაიშვილის და ი. ნუცუბიძის შემადგენლობით ახალციხეში მდგომ სამხედრო ნაწილების რევიზია მოახდინა. რევიზიის დასრულების შემდეგ სექტემბრის 10, მოხდა მთელი ახალციხის გარნიზონის კრება, რომელზედაც ნ. იმნაიშვილმა საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის შესახებ წაიკითხა მოხსენება.

✦ **ეროვნული უქმეები.** შრომის სამინისტრომ მიმართა სომეხთა, მაჰმადიანთა და ებრაელთა ნაციონალურ საბჭოებს წინადადებით, რათა დაუყონებლივ აცნობოს სამინისტროს თუ რომელი დღე ითვლება მათ ერში ეროვნულ უქმეთ. განზრახულია ასეთ დღეებში ხსენებულ ეროვნების მუშები მუშაობისაგან გაანთავისუფლონ.

✦ **ინგლისის კომისრის ლიუკის ჩამოსვლა.** ყაზბეგიდან ტფილისში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ლიუკი დაბრუნდა.

იმავე დღეს სტამბოლიდან ტფილისს დაბრუნდა ინგლისის საელჩოს მდივანი კოლასი.

**ხურსათი მუშებსა და მოსამსახურეებს.** შრომის სამინისტროს მუშაობა მაგიდა აცხადებს, რომ სექტემბრის 20 მოსამსახურეთ დაურიგდებათ შემდეგი სურსათი: ფხვნილი შაქარი სულზე ნახევარი გირვანქა 50 მან. რაფინადი სულზე ნახევარი გირ. გირვანქა 100 მან. მარილი გირ. 8 მან. სულზე ორი გირვანქა. ჩაი გირ. 150 მანეთი სულზე 1/8 გირ. ბრინჯი გირ. 35 მ. სულზე 1 გირვანქა, წუმწუმა კოლოფი 2 მ. 50 კ. სულზე ორი კოლოფი. დასახელებული სანოვაგე როგორც პური იმ წესით დარიგდება.

## გვარდიის ყრილობა.

ტფილისში ოქტომბრის 10-ს დანიშნულია სახალხო გვარდიის მეორე ყრილობა. დღის წესრიგი ასეთია: 1) მოხსენება საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ; 2) მთავარი შტაბის მოხსენება წარსულ მუშაობაზე; 3) მთავარ შტაბის განყოფილების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ; 4) სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია; 5) დისციპლინა და პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიაში; 6) სახალხო გვარდიის ძირითადი კანონის გადასინჯვა; 7) ცვლილებების შეტანა სახ. გვარდიის წესდებაში; 8) დამოკიდებულება შტაბებსა და ნაწილების უფროსთა შორის; 9) სახ. გვარდიის შტატების გადასინჯვა; 10) სახ. გვარდიის ფორმა, ნიშნები და აგრეთვე სამხედრო ნიშნები ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის; 11) მიმდინარე საკითხები; 12) მთავარი შტაბის არჩევნები. ყრილობისათვის 150 გვარდიელი ირჩევს ერთ დელეგატს. საარტილერიო ბრიგადა ირჩევს თითო ბატარეიაზე თითო დელეგატს ცხენოსანი პოლკი—თითო ასეულზე თითო დელეგატს. საინჟინერო გუნდი, ტყვიის მფრქვეველთა რაზმი, თითო ჯავშნიანი მატარებელი და ავტო ჯავშნიანი დივიზიონი თითო დელეგატს. სახ. გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი გზავნის 3 დელეგატს სათათბირო ხმით.

## სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის.

სექტემბრის 12 ფინანსთა სამინისტროში იუსტიციის მინისტრის არსენიძის თავმჯდომარეობით მოხდა მეორე სასწრაფო სხდომა საქართველოს და რუსეთს შორის სავაჭრო-სატრანზიტო ხელშეკრულების პროექტის განსახილველად. კრებას დაესწრო: ყველა უწყებათა წარმომადგენელი საქართველოს ეკონომიურ მისიის მრჩეველი კანდელაკი, დამფუძნებელი კრების წევრები, სახელმწიფო ბანკის მმართველი და სხვები. მომხსენებელმა ა. კანდელაკმა საგანგებო კომისიის სახელით პირველ სხდომაზე შედგენილ 6 თეზისის შესახებ მოხსენება გააკეთა. მომხსენებელმა შემდეგ მოითხოვა საჭიროება მუხლობრივ განხილვისა ორატორები პროექტის უარყოფით მხარეებს აღნიშნავდენ. პროექტის მუხლები მცირე შესწორებით მიიღეს. ბოლოს დაადგინეს: დაიდვას ხელშეკრულება ერთი წლით გაგრძელების უფლებით. საქართველოს მისიის ეკონომიურ განყოფილების მოწეველმა კანდელაკმა განაცხადა, რომ რუსეთთან-ეკონომიურ სატრანზიტო ხელშეკრულების პროექტი ორივე მხრის თანასწორ სარგებლობის საფუძველზე არის აგებული. მომავალში ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთისა და საქართველოს შორის, მიუხედავათ პოლიტიკური მიმართულების სხვადასხვაობისა ორივე სახელმწიფოების სწორად გაგებულ ინტერესებზე იქნება აგებული. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს სავაჭრო ხელშეკრულება ძალაში შევა.

## მუნიციპალ. ცხოვრება

**ჭიათურის ქალაქის საბჭოში.**

უკანასკნელი დადგენილებანი:

გამოეცხადოს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს და ყრილობას ულრმესი მადლობა გიმნაზიის შენობისათვის საჭირო 65.000 ც. აგურის უფასოთ დათმობის გამო. დამტკიცებულ იქნას ქალაქის გამგეობის წევრთა შორის მეცადინეობის განაწილების პროექტი; მიღებულ იქნას ცნობად მოხსენება ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის შესახებ; გადიდებულ იქნას ტარიფი წყალზე, ელექტრონის განათებაზე და ტელეფონზე ა. წ. 1 აგვისტოდან 100%-ით; სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებები: ელექტრონის 50 სანთ—დის თვეში—160 მან., ელექტრონის ლამპა 100 სანთლის 240 მ., წყალი 1 ვედრო 30 კ., ტელეფონი 800 მ., კერძო ბინებში: ელექტრონის ლამპა 50 სანთ—დის 100 მ., ელექტრონის ლამპა 100 სანთ—დის 100 მ., წყალი 1 ვედრო 20 კ., ტელეფონი 400 მან., ა) მიეცეს ქალაქის თვითმართველობის თანამშრომელთ ა. წ. 1 აგვისტოდან სატარიფო პალატის მიერ ა. წ. 13 აგვისტოს მიღებული %% მომატებები და აგრეთვე ამ %% მომატებების ფარგლებს გარეშე კიდევ მომატება საფინ. საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავებული ნორმის მიხედვით, მხოლოდ იმ პირობით, რომ სატარიფო პალატის %% მომატ. ზევით დამატებები არ შევიდეს სალიკვიდაციოში.

მიეცეს ა. წ. 1 აგვისტოდან ჯამაგირი თვეში: ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს—30.00 მ., მოურავს—12.000 მ., (ბინა, განათება, გათბობით). წარმომადგენლობისათვის 2.000 მ., მის მოადგილეს—11.000 მ., გამგეობის წევრს—10.000 მ.

გამგეობის წევრის 3 თვის ჯამაგირი—18000 მან. მიეცეს ქალაქის გამგეობის იმ წევრთა შორის გასანაწილებლათ, ვინც ფაქტიურად ასრულებდა მესამე წევრის ვალდებულებას.

— გადიდებულ იქნას დღიური ქალ. გამგეობის წევრთათვის დღიდან ამა დადგენილების მიღებისა 50 პროცენტით ე. ი. ნაცვლად 600 მან. დაწესდეს 900 მან. დღიურის ნორმა თვითმართველობის თანამშრომელთათვის შემუშავებულ იქნას გამგეობის მიერ თანამშრომელთა ჯამაგირების რაოდენობის მხედველობაში მიღებით. დღიურის პროექტი წარმოდგენილ იქნას საბჭოს შემდეგ სხდომისათვის.

— მიეცეს ქალაქის გამგეობის წევრებს ერთდროული დახმარება, თანახმად დამფუძნებელი კრების ამა წლის 15 ივნისის და 23 ივლისის დეკრეტებისა.

— გადაეცეს იქნას გამგეობის განკარგულებაში ფ. და ი. კობახიძეებისაგან ოროსართულიანი ქვის შენობის შესაძენათ 425.000 მ.

— მიღებულ იქნას ცნობად მოხსენება გამგეობისა აბანოს შეკეთების შესახებ.

— გადაიდოს საბჭოს სასხდომო დარბაზის შესაკეთებლად და მოსაწყობათ 50000 მან.

— მიღებულ იქნას ჭიათურის თეატრი ქალაქის თვითმართველობის მზრუნველობის ქვეშ; მიეცეს დრამატიულ საზოგადოებას თეატრისთვის უფასოთ: ბინა, ელექტრონის განათება, შეშა, ტელეფონი და ამა წლის ბოლომდის ფულად 25000 მან.

## ფოსტა-ტელეგრაფში

**ხიდ ჩაუბარებელ დეპეშებისა**

13 სექტემბრისა.

ერივნიდან—დავთლიანცს; ალექსანდროპოლიდან—ტეროსიპოვს; კარაკლისიდან—ბელგიის ქ. № 5; კარაკლისიდან—პეტროსიანცს; ლაგოდეხიდან—გიორგობიანს; ფოთიდან—ხარაზოვს; გორიდან—გელაძეს; ბათომიდან—გალპერინს; ზუგდიდიდან—გოროდსკაია ვოინოვა; ბანძიდან—ტუმაზოვს; ეკატერინოვკიდან—მოსესოვს; სიღნაღიდან—სიმონოვს; კარაკლისიდან—საფაროვს; ჯალალ ოღლიდან—ტერ-სააკოვს; ჯალალ ოღლიდან—ნაზარიანცს; ყარსიდან—ვოლევს; ჯანჯურიდან—ტერგურამიანცს; ყარსიდან—ათანოზოვს; ხოლგაგრიდან—ნორამბეგოვს; სამტრედიიდან—ვასილევს, კარაკლისიდან—ამირჯანოვს; ხაშურიდან—მანდელშტამს; ოზურგეთიდან—რევიშვილს; გაგრიდან №—ფუტკარიძეს; ბათომიდან—მარიანიტს; ერევნიდან—ფრიტს; ხონიდან—ნადარეიშვილს.

15 სექტემბრისა.

კარაკლისიდან—მიხაილოვას; გომბორიდან—მაშადი მამედ ვალი; სარიკამიშიდან—ადამიანცს; ალექსანდროპოლიდან—დევანიანცს; ფოთიდან—დარჩიას; ქამარლუდან—ტოპოევას; ჩოხატაურიდან—ჩანტლაძეს; აბასთუმნიდან—დათენიძეს; სამტრედიიდან—ტოხაძეს; ხალი გაგრიდან—გუსეინ სულთან-ოღლის; საჩხერიდან—ამასოვაჩს; სუხუმიდან—აპხ ნავობა „აგაპოლ"; ბანძიდან—დგებუაძეს; ხონიდან—სანაძეს.

## ხელოვნება.

**ქართული სამუსიკო სკოლა.**

ქართულ სამუსიკო სკოლაში მოწვეულნი არიან მასწავლებელნი: სპეციალურ როიალის კლასში თავისუფალი ხელოვანი: მ. კ. ანდრიანოვიჩ-მანიჯეთაშვილი და მ. ზ. მირიმანოვა; სიმღერის კლასში პროფ. ა. ა. ზელიონი და გ. დ. შტრეიხ ნემიროვსკისა; არფის კლასში დ. ი. სიჩუგოვმა; სავალდებულო ფორტეპიანოს კლასში ნ. გ. ჩუბინაშვილისა და ტ. გ. კალაშნიკოვა.

მიღებითი გამოცდები ქართულ სამუსიკო სკოლაში დანიშნულია: ფორტეპიანოს კლასში 18 და 20 სექტემბერს 11-2 ს. და 5-7 საათამდე; სიმღერის კლასში 19 და 21, 11-2 ს. სიმებიან დასაკრავებზე 22, 11-2 ს. და 5-7 საათამდე. სწავლა იწყება 24 სექტემბერს.

## მილიციაში

— სისხლის სამართლის მილიციის უფროსის დადგენილებით დაჭერილ და დაპატიმრებულ არიან ადმინისტრატიული წესით საპყრობილეში № 1, სამი თვის ვადით შემდეგი პირნი: დიმიტრი ივანეს ძე პართილოვი, თეოდორე ვასილის ძე იბგარჩევი და არშაკ ნიკოლოზის ძე კალანტაროვი. მათ ბრალდებათ, რომ ისინი კავშირს იჭერენ საიდუმლო დამნაშავე ხალხთან, რომელნიც ყოველთვის ბოროტ მოქმედობენ.

— 15 სექტემბერს ვორონცოვის ქუჩაზე, (სახლი № 71), სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღმოჩენილ იქმნა ოცდა ხუთმეტმდე. ყაზახის და ყარაბახის ძვირფასი ხალები გამოძიებიდან გამოირკვა რომ ეს ხალები ეკუთვნის თეიმურ ბეკ სულთანოვს, რომელსაც ეს ხალები ჩამოეტანა ადერბეიჯანიდან. ხალები, რომელნიც წამოღებული იყო გადაცემულია საქართველოს რესპუბლიკის მთავარ საბაჟოს სამართველოს განკარგულებაში.

## განცხადებანი

ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა ამით აცხადებს რომ, მის სადგომში (რუსთაველის პრ. № 6) 21 სექტემბერს 1 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ერობის შენობის შეკეთების იჯარით გასაცემად. მსურველთ შეუძლიანთ დაწვრილებით ცნობები მიიღონ ერობის სატეხნიკო განყოფილებაში საქმის მწარმოებელთან 12 საათიდან 2 საათამდე.

2762 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 697. მიღებული ეკატერინოსლავის რავვინისგან 1917 წ. 1 ივლისს ისააკ მარკის ძე შვარცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2750 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული კანჩხის საზოგადოების კომისრისაგან, პირადობის მოწმობა და სამხედრო სამსახურის ნუსხა ბიქტორ ივანეს ძე გახოკიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს, 2760 3—1

## აუქციონი.

ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის შედგება კვირას 26 ს სექტემბერს დილის 10 ს. ლომბარდის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 8. გაიყიდება ვადაგასული გირაოები: ძვირფასი ქვები, ლითონის ნივთები №№ 73901, 79241, 81338, 81869, 84747, 84802, 85126, 85528, 85919, 85915. 86006, 860 2, 86077, 86357, 86718, 87242, 87367 87482, 87708, 87724, 87725. 87802, 87803 87804. 87805, 87832, 87839, 87844, 87848 87877, 87880, 87902, 87909, 87915.

2748 1—1

კვირას 19 ს სექტემბერს არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა ავეჯის გაყიდვისა ყოფილი „ფრასკატისა" სასადილოსი ძმათა საფაროვებისა სახელმწიფო და სხვა ვალების შეუტანლობის გამო. ვაჭრობა დაიწყობა დილის 9 საათზედ რუსთაველის პროსპექტზე № 11. 893 2—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული სომხეთის წარმომადგენელიდან ტფილისში და მეტრიკული ამონაწერი სოფ. ბაიკარის სურფ ფირგიჩის ეკლესიის მღვდლისგან რუბენ გაბრიელის ძე ბაგრატუნის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2713 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. ქალ. მილიციის სამმართველოდან სიმონ ანდრიას ძე მ ღლაკელიძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2740 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამართველოდან მირგუსეინ მირმამედ-ოღლის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2741 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან დესდემონა ევგენის-ასული ტერიანის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2744 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 422, მიღებული ყოფილ მე 7 ვიდე საპოლიციო უბნიდან გიორგი გიორგის ძე გოგიაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს.

2745 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან ვერა ლევანის ასული თოიძის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2746 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ანტონი თედორეს ძე კაჭარავამ შემოიტანა განაცხადა, რომ მისი ცოლი ალექსანდრა პავლეს ასული კაჭარავა რომელზედაც ჯვარი დაიწერა 9 ნოემბერს 1914 წელს უკვალოდ დაიკარგა 1917 წლიდან, რის გამოთხოულობს მასგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ ალექსანდრა პავლეს ასულისა მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ორი თვის განმავლობაში. 2749 3—1

დაიკარგა სამხედრო ბევრიდან განთავისუფლების მოწმობა № 109 ნუსხა; მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან დიმიტრი დაოისპანის ძე ცქიტიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს

2742 3—1

დაიკარგა მეტრიკული № 2193. მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან ანნა ალექსანდრეს ასულის ავალიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2758 3—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქუთაისის ქალაქის მილიციიდან მოსეს მაისეის ძე აროხოვიჩის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2717 3—3

დაიკარგა პასპორტი № 445 მიღებული სენაკის მაზრის ნაგვაზაოს თემიდან და სამხედრო ნუსხა სენაკის სამხედრო უფროსისგან № 3. ლავრენტი ბეჟოს ძე გვაზავას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2718 3—3

დაიკარგა პასპორტი გაცემული სოფ. ყვარლის კომისარის მიერ 1919 წ. ზაქარია იოსების ძე მირმიშაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2708 3—3

დაიკარგა პასპორტი მიღებული ახალ ბაიაზეთში ქალაქის მართველობიდან ხაჩატურ ტატეოსის ძე შუხურიანცის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2711 3—3

დაიკარგა მოწმობა მიღებული მილიციის სამმართველოდან ანნა ბადუნოვის ასული მელოიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2715 3—3

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვის მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან პეტრე იოსების ძე ზუმბაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2716 3—3

დაიკარგა ნუსხა სამხედრო სამსახურის, მიღებული ქუთაისის სამხედრო სამაზრო სამმართველოდან 1919 წ. № 2338 და მოწმობა მიღებული ქუთაისის სამაზრო ერობიდან 1919 წ. 10 მაისს № 455 ივლიანე პავლეს ძე კოხრეიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2709 3—3

დაიკარგა ღვინო-გასტრონომიულ მაღაზ. ვაჭრობის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ალექსანდრე ბასინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2719 3—2